


თემურ შარნიქაძე

Temur SHARIKADZE



მ ვ რ ა მ

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

FANS

IN THE GEORGIAN NATIONAL MUSEUM

თემურ შარიქაძე
TEMUR SHARIKADZE

მ ა რ ა ო
საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

FANS
IN THE GEORGIAN NATIONAL MUSEUM



საქართველოს ეროვნული მუზეუმი • Georgian National Museum

თბილისი • Tbilisi
2015

ედვლება პატარა ნინო შარიქაძეს

Dedicated to little Nino Sharikadze

კატალოგის გამოცემაში განუელი თანადგომისა და ფინანსური დახმარებისთვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ ახალგაზრდა შემოქმედს, ჭეშმარიტ მამულიშვილსა და დიდ ქველმოქმედს ბ-ნ **გიორგი (გია) იმ-ბურგის ძე შარიქაძეს**

I would like to express my gratitude to a creator, a real patriot and donator **Giorgi (Gia) Sharikadze** for support and financial help in publishing this catalogue.

მადლობას ვუხედი საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებს: **ნინო მაისურაშვილს, მანანა ხიზანიშვილს, ლუიზა გვრიტიშვილს, ვახტანგ ცინცაძეს, ნანა მახათაძეს, მარინა დგებუაძეს, ირინა კოშორიძეს, დოდო გაბუნიას, ნანული ქარუმიძეს** გულისხმიერებისა და დახმარებისთვის

I am thankful to my colleagues of the Georgian National Museum: **Nino Maisurashvili, Manana Khizanishvili, Luiza Gvritishvili, Vaktang Tsintsadze, Nana Makhatadze, Marina Dgebuadze, Irina Koshoridze, Nanuli Karumidze, Dodo Gabunia** for their help.

კატალოგის შემდგენელი, ტექსტისა და ანოტაციების ავტორი

თემურ შარიქაძე

Compiler of the catalogue, author of the Georgian text and annotations

Temur Sharikadze

დიზაინერი **ირაკლი ხუციშვილი**

Designer **Irakli Khutsishvili**

ქართული ტექსტის სამეცნიერო რედაქტორი

მარინა დგებუაძე

Copy-editor of the Georgian scientific text **Marina Dgebuadze**

რედაქტორები **ნინო ნადარაია, ელენე სალარიძე**

Copy-editors **Nino Nadaraia, Elene Salaridze**

მთარგმნელი **მედია ნონელია,**

Translation **Medea Tsotselia**

ფოტოგრაფი:

Photographer:

გურამ ბუმბიაშვილი

Guram Bumbiashvili

© თემურ შარიქაძე, 2015

ISBN 978-9941-0-7746-3



საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ ისტორიული მნიშვნელობისა და მაღალმხატვრული ღირებულების მქონე კოლექციებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს – მარაოებს. მარაო ყოველ ეპოქაში ნებისმიერი სოციალური წარმომავლობის ქალისთვის წარმოადგენდა ყველაზე საყვარელ, სასიამოვნო, მისაღებ აქსესუარს და ასახავდა შესაბამის ისტორიულ ვითარებას.

მარაოს სახელწოდება მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *ventus, vanus* და ნიშნავს სახის, ყელის დასაანიავებელს, საგრილებელს. სხვადასხვა ქვეყანაში მარაოს სხვადასხვა სახელი ჰქვია: რუსეთში *вер* (*оверять, вять, веялка*-დაბერვა, ქროლა, დანიავება), *опало* (ფრინველის ბუმბულისა და ფრთებისგან დამზადებული ფართო გასაშლელი მარაო), გერმანიაში – *fächer*, საფრანგეთში – *éventail*, ესპანეთში – *abanico*, ინგლისში – *fan*, იტალიაში – *ventaglio* და სხვა.

ძველი ცივილიზაციის ქვეყნებში მარაოს დამკვიდრება ყოფაში და მისი ეტაპობრივი განვითარება ამ ქვეყნების ბუნებრივ პირობებს ემყარებოდა. დასაბამიდან დღემდე სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად და ზოგადი ევოლუციური პროცესების წარმოსაჩინად შორეულ წარსულში მოგვიწევს მოგზაურობა, რადგანაც, როგორც მარაოს ისტორიის საკითხებზე მომუშავე მეცნიერები ადასტურებენ, მისი შექმნის იდეა ჩაისახა უძველეს დროში ცხელი კლიმატის მქონე აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ ქვეყნის მცხოვრებლებმა პირველებმა გამოიყენეს ხის ტოტები, პალმისა და ლოტოსის მოზრდილი ფოთლები, ფრინ-

ველთა ფრთების კონა მცხუნვარე მზისგან სახის დასაცავად, თუ შემანუხებელი მწერების მოსაგერიებლად ხელოვნური სიოს გამოწვევისა და დანიავების მიზნით.

ისტორიამ შემოგვინახა არაერთი საინტერესო ცნობა ძველ ქვეყნებში გავრცელებული მარაოს ფორმებისა და მისი სიმბოლური დანიშნულების შესახებ.

ეგვიპტის ფარაონ ტუტანხამონის (ძვ.წ.1400-1392) აკლდამაში ნაპოვნ ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს შორისაა ხის ნახევარწრიული მარაო, რომელსაც შემორჩენილი ჰქონია სირაქლემის ფრთის ნარჩენები. ძველ ეგვიპტეში მარაო მიიჩნეოდა ფარაონების სიდიადის ატრიბუტად, მაღალი ღირსებისა და ბედნიერების ნიშნად, ძალაუფლებისა და სამოთხის სიმბოლოდ, სათაყვანებელ ნივთად. ძველი ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი კლეოპატრა (ძვ.წ.69-30) ნილოსის ნაპირზე ყოფნისას დიდებული მარაოთი იგრილებდა სახეს.

მარაოს მოტრფიალენი ყოფილან ძველი ბერძნებიც, რომლებიც ამზადებდნენ ხის ტოტების, ჭადრისა და ლოტოსის ფოთლებისგან, ასევე მონწულ მარაოებს. ამგვარ მარაოებს დიდი ადგილი უკავია ანტიკური ვაზების მოხატულობაში. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ არისტოკრატთა ყოფაში სარკესა და ქოლგასთან ერთად გამოყენებული მარაოების ფორმათა ნაირგვარობაზე. ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, მარაომ შეაღწია ღმერთების სამყოფელ ოლიმპის მთაზეც. მარაო სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთ აფროდიტეს აქსესუართა შორისაა. ახ. წ. V საუკუნეში ბერძენი ქალები უპირატესობას ფარშავანგის ფრთის რაპიდიონს (*rhipidium*) ანიჭებდნენ.

რომაელებში ეტრუსკებიდან (იტალიის უძველესი მოსახლეობა) გავრცელდა ხის და ძვლის ჩონჩხზე დიდი ზომის ფოთლებითა და ფარშავანგის ფრთებით განწყობილი გრძელტარიანი მარაო ფლაბელუმი (*flabellum*), რომლითაც ახალგაზრდა მონები (*flabellifer*) უნიავებდნენ თავიანთ ბატონებს დღისით და ღამით.

ისინი, სპეციალურად, განსაზღვრული დროის მანძილზე ეუფლებოდნენ მარაოს გრაციოზულად და მოხერხებულად გამოყენებას. ასევე ცნობილია ძვირფასი ხისა და სპილოს ძვლისგან დამზადებული მცირე ზომის მარაო ტაბელაე, რომელსაც რომაელი ახალგაზრდები ეტანებოდნენ.

სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევა-ძიების მიუხედავად, მეცნიერთა შორის არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა გამო დღემდე ვერ ხერხდება მარაოს წარმოშობის ზუსტი თარიღის დადგენა. მის სამშობლოდ კი ყველა ჩინეთს მიიჩნევს. უძველესი ჩინური გადმოცემით, პირველი მარაო შექმნა ქარის ღვთაებამ, რომელმაც იგი შემდეგ აჩუქა განსაცდელში ჩავარდნილ ხალხს მათდამი თანაგრძნობის, გულშემატკივრობისა და მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ჯადოსნური მარაოთი მათ შეეძლოთ ქალღმერთის გამოძახება დახმარების სათხოვნელად.

შედლებულთა საფლავებში აღმოჩენილი უძველესი ფრთის, ბრინჯაოს ნაწარმსა და სახვითი ხელოვნების ძეგლებზე ამოკვეთილი გრძელტარიანი მარაოების ანალიზის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ჩინეთში მარაო გაჩნდა ძვ. წ. VIII-II საუკუნეებში ჯოუსა და ჯანგოს მმართველობის პერიოდში (ძვ.წ. 770-221). ეს იყო დიდი ზომის ლოტოსის ფოთლისა და ფრინველის ფრთის ხისტარიანი მყარი საგრილებელი.

ჩინეთში ქალაღდის წარმოების ჩასახვამ (ახ.წ. I ს.) ხელი შეუწყო მარაოს ადრეული სახეობის ხისტარიანი, დიდი ზომის, მრგვალი ფორმის ქალაღდის საგრილებელის, ანუ უტივას შექმნას, რომელიც მფლობელის ძლიერების, ავტორიტეტულობისა და სამეფო ღირსების მაჩვენებელი გახდა.

სუისა და ტანის დინასტიების დროს (ახ.წ. 581-618, 618-907) შინაომების დასრულებამ ხელი შეუწყო ქვეყანაში კულტურის ყველა დარგის აყვავებას, განვითარდა დაზგური ფერწერა. ქალაღდის, ლერწმისა და ლოტოსის მარაოები შეცვალა ხისა და ბამბუკის მრგვალ და ოვალურ ჩონჩხზე გადაკრული ქალაღდი-

სა და აბრეშუმის ქსოვილგადაჭიმულმა მარაოებმა, რომლებზეც გამოსახული იყო ყოფის ამსახველი დეტალები.

სუნისა და იუანის მმართველობის პერიოდში (ახ.წ. 960-1279, 1279-1368) ფერწერისა და განსაკუთრებით დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების აღმავლობის შედეგად ჩინეთში პირველად დამზადდა დასაკეცი მარაო, რომელიც კიდევ უფრო სრულყოფილი გახდა მინისა და ცინის დინასტიების(ახ.წ.1368-1644,1644-1911)დროს. ლიტერატორებისა და მხატვრების წყალობით ჩინური დასაკეცი მარაო შესანიშნავ, პოპულარულ და დახვეწილ მხატვრულ ნაკეთობად იქცა საიმპერატორო კარზე.

ჩონჩხის ფირფიტებად გამოიყენებოდა სპილოს ძვალი, ცხოველის რქა, სანდალოზი, ბამბუკი; მოსართავად – ოქრო, ნეფრიტი, კუს ჯავშანი. ფირფიტებს ამშვენებდა ცნობილი ოსტატ-გრავეორების მიერ ლამაზად ამოკვეთილი ორნამენტები. სახელოვანი ფერმწერები ქალაქისა და აბრეშუმის ქსოვილზე ხატავდნენ ჩიტებს, მდინარეებს, ყვავილებს, ფრინველებს, ცხოველებს, ადამიანის პორტრეტებს, მითოლოგიურ სცენებს. ლამაზ აქსესუარს ამზადებდნენ ცალობით. ორი ერთნაირი ნიმუში არ არსებობდა. იმპერატორი მარაოს ჩუქნიდა თავის თაყვანისმცემლებსა და წარჩინებულ მოხელეებს.

XVIII საუკუნეში ჩინელი ოსტატები ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა ამზადებდნენ მრავალფეროვან მარაოებს სპეციალურად დასავლეთის ქვეყნებისთვის, ევროპული გემოვნებისა და ხასიათის გათვალისწინებით. გარდა ამისა, მარაოების ერთი ნაწილი განკუთვნილი იყო საჩუქრებისთვის. ჯერ კიდევ VII საუკუნეში ჩინური მარაო მიურთმევიათ იაპონიის იმპერატორისთვის. ცინის დინასტიის ერთ-ერთ იმპერატორს ინგლისის სამეფო კარისთვის საჩუქრად გადაუცია ძვირფასეულობით შემკული არაჩვეულებრივად ლამაზი ფორმის 240 ცალი მარაო, 1804 წელს კი ჩინელ ელჩს ნაპოლეონისთვის მიუძღვნია ძვირფასი მარაო იმპერატორად კურთხევასთან დაკავშირებით.

როგორც ჩანს, მარაომ განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა გაიარა და ბრწყინვალე აღიარებაც მოიპოვა. მის შესაქმნელად გამოყენებული მხატვრული ოსტატობისა და უნარის წყალობით მარაო სწრაფად გადაიქცა უზადო და ძვირად ღირებულ ნივთად, გამაგრილებელი საშუალებიდან ხელისუფლების, ძალაუფლების, შეძლების, ავტორიტეტულობისა და მეფური ღირსების სიმბოლოდ. ქალის ტუალეტის ამ ელემენტში შერწყმულია გარეგნული სილამაზე, ფორმა, ფერი, ორნამენტაციის ორიგინალური სტილი, რომელიც იცვლებოდა ეკონომიკური წყობის, ცხოვრების წესის, მოდის ცვალებადობასა და ყოფაში ახალი მოვლენების გაჩენასთან ერთად.

ჩინეთსა და იაპონიაში დღემდე ამაყობენ მარაოს კულტურით. ჩინეთში ყოველწლიურად ნოემბრის ბოლოს გამართულ მარაოს დღესასწაულზე მეგობრები და ახლობლები სიკეთისა და ბედნიერების ნიშნად ერთმანეთს ჩუქნიან მარაოებს.

ჩინეთის შემდეგ მარაოს წარმოების უძველესი ტრადიციებით ცნობილია იაპონია, სადაც ფუფუნების საგნად აღიარებული ეს ლამაზი აქსესუარი ყოველთვის მიიჩნეოდა ქვეყნის კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად, ტრადიციული კოსტიუმის განუყოფელ და მნიშვნელოვან ელემენტად.

იაპონელები თვალყურს ადევნებდნენ თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვა მისიით მივლინებულ მარაოთი აღჭურვილ ჩინელ დიდებულებს და დიდ ინტერესს იჩენდნენ პირადი მოხმარების ამ მეტად მოხერხებული და ლამაზი აქსესუარისადმი, რომლის დამზადების ტექნოლოგია მათთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო. ამ ლამაზი, აუცილებელი და პრაქტიკული ნივთისადმი ძლიერმა სწრაფვამ ფართო გზა გაუხსნა ჩინეთიდან იაპონიაში მარაოს შეტანის შესაძლებლობას.

სწორედ ამის გამო, ჩინური კულტურის ზოგიერთი იაპონელი თაყვანისმცემელი იზიარებდა შეხედულებას უძველესი დროიდანვე მარაოს ჩინეთიდან შეტანის შესახებ. იმპერატორ იურიაკუს მმართველობის წლებში (ახ.წ. 457-479) იაპონიაში

დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩინური წარმოების აბრეშუმის ქსოვილისა და ქალაქის მარაოები.

VII საუკუნეში იაპონიაში პირველად გამოიგონეს დასაკეცი მარაო, რომელიც ჩინეთში X საუკუნეში დაინერგა. ხისა და ძვლის მოჩუქურთმებულ თხელ ფირფიტებზე გადაჭიმული იყო ქალაქი და აბრეშუმის ქსოვილი, რომელსაც ამშვენებდა სადაფისა და კუს ჯავშნის რქოვანი ფირფიტები.

ნარასა და ხეიანის მმართველობის პერიოდში (794-1185) კულტურისა და ყოფის ნივთებთან ერთად ჩინელებისგან გადმოიღეს ხისგან დამზადებული ოვალური ფორმის მარაო უტივა. აბრეშუმის ქსოვილისა და სპეციალური ქალაქის ეკრანი მოხატული იყო იაპონური სინამდვილიდან აღებული ახალი, რთული და დახვეწილი მხატვრული სიუჟეტებით. კამაკურასა და მურომაჩის მმართველობისას (1185-1333, 1333-1568) უტივა წარმოადგენდა ყოველდღიური მოთხოვნილების ნივთს ყველა წოდების წარმომადგენლის, მსახიობების, გეიშათა და სუმოს მოჭიდავეებისთვის. ნიჭიერი იაპონელი ოსტატების მიერ შექმნილ განსხვავებული სიუჟეტებისა და მოტივების კომპოზიციებში გამოყენებული იყო ადამიანთა სახეები, ყვავილები, ჩიტები, ყველანაირი ჟანრული სცენები. იაპონიის მოსახლეობის უმრავლესობა დღესაც უტივას იყენებს, რომლის ნიადაგზეც აღმოცენდა რკინის ფირფიტებისგან დამზადებული საბრძოლო მარაო გუნზაი.

დროთა განმავლობაში, მზისგან დამცავი ქოლგის შემოღებასთან ერთად, იაპონელმა ოსტატებმა შეცვალეს, გააუმჯობესეს, გაათანამედროვეს და სრულყვეს მარაოს ფორმა და მოდელი. VII-XIII საუკუნეებში ბრინჯაოს, სპილოს ძვლის, სანდალოზის ხის, სადაფის, კუს ჯავშნის, ოქროსა და ვერცხლის გამოყენებით შექმნეს შედარებით რთული კონსტრუქციული აგებულების, დახვეწილობით გამორჩეული პირველი დასაკეცი მარაო სენსუ, რომელიც შემდეგ (X ს.) გადაიღეს ჩინელებმა. ერთ-ერთი იაპონური ლეგენდის მიხედვით, ტენჯის დროს (661-

-671) მარაოს დამზადების სურვილით შეპყრობილ ცნობის-მოყვარე ოსტატს ლამურას ფრთებზე დაკვირვების შედეგად შეუქმნია დასაკეცი მარაო.

საუკეთესო ჯიშის ხისგან (სანდალოზი, იაპონური კე-დარი, ბამბუკი) დამზადებული ოვალური, ნახევარწრიული და კვადრატული ფორმის ჩონჩხზე გადაკრული დაპლისული აბრე-შუმის ქსოვილი, პერგამენტი ან სპეციალური ქალაღი ორივე მხრიდან მოხატული იყო ტრადიციული მოტივებით, ლამაზი კალიგრაფიით წერდნენ იაპონური სიმღერების, ჩინური ლექსების შემოკლებულ ტექსტებს. დამცავი ფირფიტების შესამკობად იყენებდნენ ინკრუსტაციას, კვეთას, ჩუქურთმას, მოოქროებას.

X საუკუნეში სენსუ გადაიქცა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშად. მსუბუქი და ლამაზი მარაო პოპულარული გახდა იმპერატორის ოჯახის წევრებს შორის, მოცეკვავეებში, მსახიობებში, ტრადიციულ ცერემონიებზე, მიიჩნეოდა საუკეთესო საახალწლო საჩუქრად. იაპონური ნაციონალური კოსტიუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი-მარაო სიძლიერისა და სიმდიდრის სიმბოლო გახდა.

სხვა ქვეყნებთან შედარებით, იაპონიაში და კორეაში ძირითადი დანიშნულების გარდა მარაოს სხვა დატვირთვაც ჰქონდა. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ქვეყნებში სამეფო სასახლის წევრები და დიდებულები ლამაზ და მოხდენილ მარაოს თავდაცვის იარაღადაც იყენებდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაქირავებული მკვლევები-სგან მოსალოდნელი თავდასხმის შიშით სასახლეში აიკრძალა ცივი იარაღის გამოყენება. სპეციალური ჯიშის ხის ფირფიტებზე გადაკრული ფერადი საღებავებით მოხატული უმაღლესი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილისა და ეგზოტიკური ჩიტების ბუმბულით შემკული საბრძოლო დასაკეცი მარაო – აბჯარი ტესენი (რკინის მარაო) გახდა ძველი იაპონური და კორეული საბრძოლო ხელოვნებისა და თავდაცვის ყველაზე მოხერხებული

და პოპულარული იარაღი. იგი გამოიყენებოდა ბრძოლის ველზე ან ცალკეული შეტაკებებისას, სხვადასხვა ბრძანებისა და სიგნალის გადასაცემად. მარაოს ნაკეცებსა და დამცავ ფირფიტებზე განთავსებული დანის ბასრი პირები ამ მარაოს გაშლისას მოძრაობდნენ. საბრძოლო მარაოს მოხმარება დიდ პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა. დარტყმა ხდებოდა სწრაფად, სხეულის ყველაზე მგრძობიარე წერტილებში (მუხლის ქვედა და ზედა ნაწილები, მაჯის, ტერფის, ზურგის, იდაყვისა და წვივის მიდამოები), რის შედეგად მოწინააღმდეგეს უზიანდებოდა სახე, სხეული, კარგავდა გრძნობას, წონასწორობას, ორიენტაციას. დარტყმა ინვევდა დროებით დამბლასაც. ზოგჯერ ნაკეცებში მალავდნენ შხამს მცირე ზომის პარკებით, რომელიც მარაოს გახსნის დროს იხეოდა, ინვევდა მოწინააღმდეგის სიბრმავესა და სიკვდილსაც კი. ტესენი საკმაოდ ცნობილი იყო ჩინეთშიც. XIX საუკუნის შუა წლებამდე ტესენი მიიჩნეოდა იაპონელი მხედართმთავრების, სამურაებისა და ჯარისკაცების მუდმივ საბრძოლო ატრიბუტად, სამხედრო ძალაუფლების სიმბოლოდ. მოხერხებულ, მსუბუქ, მცირე ზომის ამ საბრძოლო იარაღს ატარებდნენ ქამრით, ხელით; ინახავდნენ ჩანთაში, ჩექმის ყელში, სახელოს ან კაბის ქვეშ. დაკეცილ მდგომარეობაში იგი წააგავდა პატარა ხელკეტს.

მარაოს სხვა ფუნქციებიც დაეკისრა, რამაც კიდევ უფრო საგრძნობლად გააფართოვა მისი გამოყენების დიაპაზონი. იაპონიის კულტურასა და ყოფაში დამკვიდრებული მაღალმხატვრული გემოვნებით გაფორმებული მარაო ფიგურირებდა ყველა წოდებისა და კლასის წარმომადგენელთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში, სხვადასხვა სადღესასწაულო და რელიგიურ ცერემონიალზე, იმპერატორის სასახლეში. მიიჩნეოდა ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას და პოპულარულ საჩუქრად, რომელსაც ბედნიერება და სიხარული მოჰქონდა. სამეფო კარის წევრები მარაოს უძღვნიდნენ ხელმწიფეს. ეს უკანასკნელიც თავის მხრივ ასაჩუქრებდა თავყვანისმცემლებსა და ერთგულ ქვე-

შევრდომებს განსაკუთრებული დამსახურებისთვის. 988 წელს იაპონელ ბერებს ჩინეთის იმპერატორისთვის საჩუქრად მიურთმევიათ ღამურას გამოსახულებიანი ორი და სხვადასხვა დასახელების ოცი გასაშლელი მხატვრული აქსესუარი. მარაოთი თავს იცავდნენ უცხო თვალისგან, მაღავდნენ მზისგან გარუჯულ სახეს, რადგან შუა საუკუნეებში იაპონელი ქალის სილამაზის ერთ-ერთ ნიშნად თეთრი ფერის კანს მიიჩნევდნენ. ტრადიციული მოტივებით მოხატული მარაო სხვადასხვა სანახაობისა და კულტურული ღონისძიების, ასევე თეატრის მსახიობთა აუცილებელი აქსესუარი გახდა. თეატრალურ წარმოდგენებში ყველა პერსონაჟი მისთვის მახასიათებელ მარაოს ატარებდა: ჩინელიმრგვალ უტივას, მამაკაცისა და ქალის როლის შემსრულებელიშავფირფიტებიანს, მოხუცები ღია ფერის მარაოს. მარაო ასევე გამოიყენებოდა რიტუალური, თეატრალური და კლასიკური ცეკვების დროს. მარაოს მოძრაობით იაპონელები ერთიმეორეს ესალმებოდნენ. მარაო ფართოდ დამკვიდრდა სუმოს მოჭიდავეებსა და რიგით მოქალაქეებს შორის. ქალები აქტიურად ერთვებოდნენ მარაოთი თამაშის თავშესაქცევ პროცესებში. მოგზაურები ინტერესდებოდნენ მარაოზე დახატული გეოგრაფიული სურათებით.

XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისიდან იეზუიტებმა, პორტუგალიელმა, ჰოლანდიელმა, ჩინეთის სანაპიროებზე მოსახლე ვაჭრებმა და მისიონერებმა ეგზოტიკური ქვეყნებიდან – ჩინეთიდან, იაპონიიდან და კორეიდან სიძველეებთან და საინტერესო ნივთებთან ერთად ევროპაში(ინგლისი, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი) გემებით პირველად შეიტანეს ახალმოდური აქსესუარი – მარაო, თანაც დიდი რაოდენობით. ეს იყო ძვირფასი ჯიშის ხისა და ძვლის ფირფიტებზე ქალაქ და ქსოვილგადაკრული, მარგალიტებით, სხვა ძვირფასი თვლებით, მხატვრული სიუჟეტებითა და ფერადი ფრთებით შემკული ნახევარწრიული ფორმის დასაკეცი მარაოები. აღმოსავლურმა მარაომ იმთავითვე მოიპოვა პოპულარობა და მოდის მიმ-

დევარი მაღალი არისტოკრატიული წრის ქალთა კოსტიუმის განუყოფელ ნაწილად იქცა. ბევრი დიდგვაროვანი ქალი თავს ახატვინებდა მარაოსთან ერთად. ევროპაში მარაო ხელოვნების ნამდვილ ნიმუშად აღიარეს.

XV-XVI საუკუნეებში ევროპის ქვეყნების მხატვრობაში დამკვიდრებულმა ოქროს ხანამ კიდევ უფრო გაუხსნა გზა მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ფართოდ წარმოჩენას. დასავლეთევროპელმა ოსტატებმა პერგამენტის, ტყავის, ფერადი ფრთების, აბრეშუმის ქსოვილის, მაქმანის, ძვირფასი თვლების გამოყენებით ხელი მიჰყვეს აღმოსავლური ორიგინალური მარაოებიდან ასლების გადაღების ხელოვნებას. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის მარაო ყველაზე პოპულარული და ძვირად ღირებული გახდა მოდების კანონმდებელ საფრანგეთში დედოფალ ეკატერინე მედიჩის დროს (1519-1589). კეთილშობილ ქალთა უმრავლესობა მოდური აქსესუარის მრავალ ნიმუშს ფლობდა. მარტო ეკატერინე მედიჩის კოლექციაში 900-ზე მეტი ხელოვნების საუკეთესო ნიმუში იყო დაცული (ამჟამად ლუვრში).

XVII საუკუნეში ევროპის ბევრ ქალაქში დაარსდა მარაოს მწარმოებელი კერძო სახელოსნოები. ჩონჩხი და ეკრანი მზადდებოდა შედარებით იაფი მასალისგან (რქა, შეღებილი ხე, ძროხის ძვალი, ცელულოზა).

ბაროკოს სტილმა თავისი გავლენა იქონია მარაოს მხატვრულ ფორმაზე (XVII-XVIII სს.). ევროპაში XVII ს-ის შუა წლებიდან დაიწყო ნახევარწრიული დასაკეცი მარაოების აყვავების ახალი პერიოდი. მარაო ფუფუნების საგნად იქცა. ხმარებაში შემოვიდა ფარშავანგისა და სირაქლემის ფერადი ფრთებისგან დამზადებული მარაოები. ამავე პერიოდში დაინერგა სარკით, ძვირფასი თვლებითა და ზარნიშით შემკული, სპილოს ძვლის თხელი და კუს ჯავშნის რქოვანი ფირფიტებით, სადაფით, ოქროთი და ვერცხლით განყობილი, ფანტასტიკური სიუჟეტებით დამშვენებული მაქმანის, აბრეშუმის ქსოვილის, აბანოზის

ხის მარაოები. მხატვრობაში ჭარბობდა საგმირო სცენები, ანტიკური მითოლოგიისა და მეფის სასახლის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი სურათები, ყველა დროისთვის პოპულარული სტილიზებული მცენარეული და ყვავილოვანი ორნამენტები.

1673 წელს საფრანგეთის მეფე ლუი XIV-მ (1638-1715) თავის მიერ დაარსებულ მარაოს მწარმოებელ სახელგანთქმულ ფრანგულ გილდიას სასახლის მიმწოდებლის სტატუსი მიანიჭა.

მარაოს ხელოვნებამ არნახულ სრულყოფილებასა და აღიარებას მიაღწია როკოკოს ეპოქაში (XVIII საუკუნის I ნახევარი) ლუდოვიკო XV-ის (1715-1774) ფავორიტი ქალის მარკიზა დე პომპადურის წყალობით. იგი იქცა ფლირტის ხელოვნების შესანიშნავ იარაღად და ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ მაღალი წრის ქალთათვის. საპატიო მოვალეობად მიიჩნეოდა რთული მოტივებით, პასტორალური(ხშირად ფრივოლური ხასიათის), პიკანტური, სენტიმენტალური, იტალიელ მსახიობთა ცხოვრების ამსახველი სცენებით, საბავშვო, საქორწილო, ახალგაზრდა ქალების, თეატრალური, საცერემონიო, საკონცერტო, სამეფულისო, სამგლოვიარო, ოფიციალური მიღებებისთვის განკუთვნილი და მეფის კურთხევასთან დაკავშირებული მარაოების მოხატვა. დიდი ადგილი დაეთმო სიყვარულის თემას. მარაოს მოხატვაზე მუშაობდნენ ისეთი ცნობილი მხატვრები როგორებიც იყვნენ ფრანსუა ბუშე, ანტუან ვატო და სხვები.

მოდური აქსესუარის პოპულარობიდან გამომდინარე, არაერთმა სახელოვანმა მხატვარმა(ყან ონორე ფრაგონარი, პიერ ოგიუსტ რენუარი, პოლ გოგენი, ედუარდო ტოფანო, ამედეო მოდილიანი, დიეგო ველასკესი, ფრანსისკო გოია, რაიმუნდო მადრასო და სხვ.) მარაო შემოქმედების ერთ-ერთ წყაროდ გაიხადა. მათ მიერ შექმნილ მხატვრულ ტილოებზე (ქალი მარაოთი) ფაქიზად, დახვეწილად და ზუსტად გადმოგვცეს ქალის სინაზე, მარაოს სილამაზე და დაგვარწმუნეს, რომ მარაო მხოლოდ ხელოვნების ნიმუში კი არ არის, ის ქალის ისტორია-

ცაა.

ფრანგულთან ერთად რა თქმა უნდა პოპულარობა არ დაუკარგავს აღმოსავლურ (მათ შორის ინდურსაც) მარაოებს. ჩინურ ფაიაფურსა და შინუაზრის სტილზე გაზრდილი მოთხოვნის გამო მარაოზე გამოჰყავდათ ჩინელ მბრძანებელთა სახეები და სამეფო კარის ცხოვრების ამსახველი სცენები.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და დირექტორიის წლების შემდგომ პერიოდში გაგრძელებულმა სავაჭრო-ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის განვითარებაზე. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სხვა დარგების მსგავსად დაეცა მარაოს მხატვრული ღირებულება და შემცირდა წარმოების დონე. მოდური გახდა მცირე ზომის მარაოები, ჩრდილში აღმოჩნდნენ ცნობილი მხატვრები. ქალღმერთისა და დაბალი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილის ეკრანი იხატებოდა მედალიონებში ჩასმული პოლიტიკური მოღვაწეებისა და სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა პორტრეტებით.

საფრანგეთში მარაოს ხელოვნების ახალი აყვავება უკავშირდება მეორე იმპერიის დასაწყისსა (ნაპოლეონ III-ის პერიოდი, 1852-1870 წწ.) და დედოფალ ევგენიას სახელს.

მოდერნის ეპოქაში (XIX საუკუნის ბოლო-XX საუკუნის დასაწყისი) ევროპის ქვეყნებს შორის წამყვანი ადგილი კვლავ საფრანგეთმა დაიმკვიდრა დახვეწილი მარაოების წარმოების მხრივ. ხმარებაში შემოვიდა რთული ფერწერული კომპოზიციით, სადაფით, ლამაზი ჩუქურთმით გაფორმებული მრავალფეროვანი მარაოები. ამ მარაოებს ამშვენებდა რელიეფური მაქმანით, ტიულით, კილიტებით განწყობილი და მოქარგული ეკრანი. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფარშავანგის, სირაქლემის ფრთისა და მთლიანად სპილოს ძვლისგან დამზადებული მარაოები. დახვეწილი გემოვნების პასტორალურ და გალანტურ სცენებთან ერთად აღდგა ისტორიული სიუჟეტები, სტილიზებული მცენარეული და ყვავილოვანი ორნამენტები,

ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებები. სიუჟეტში ადგილი დაეთმო საერთაშორისო მოვლენებსაც, კარიკატურას, კინოვარსკვლავთა სახეებს, პარიზის გამოფენას(საინვ. № 67-1976/1).

ამპირის ეპოქაში მოდაში შემოვიდა ადრე გამოყენებული ანტიკური მითოლოგიის მოტივები. უნიკალური მარაოების ეკრანის მოხატვაზე მუშაობდნენ სხვადასხვა ჟანრის ფერმწერები, მარაოს მწარმოებელი მსხვილი ფირმები. გაიზარდა საფრანგეთიდან მარაოების ექსპორტი ამერიკაში, ინდოეთში, რუსეთში. ქალის ტუალეტის აქსესუარებიდან მარაო გამოირჩეოდა სიმრავლით. თუ ადრე მათი რაოდენობა ორი ან სამი იყო, ამჯერად ოცდაათამდე გაიზარდა. დიდგვაროვანი ქალები წვეულებებზე ცხადდებოდნენ მკვეთრი ფერის კაბებით, მაქმანის ან სირაქლემის ფრთის მდიდრული მარაოებით. ქალიშვილები კი ამჯობინებდნენ კაბების შესაფერის თეთრ ან სპილოს ძვლის ფერ მარაოებს.

მარაოს ბუმმა მოიცვა ევროპა. ძლიერების მწვერვალზე მდგარ საფრანგეთს მარაოს წარმოებაში არ ჩამორჩებოდა იტალია, ესპანეთი, ინგლისი, გერმანია, ჰოლანდია, რომელთა მსხვილ ცენტრებში ამზადდებდნენ საკმაოდ მაღალი ღირებულების უნიკალურ მარაოებს.

ფრთებითა და ხელოვნური ყვავილებით შემკული, ცნობილ მხატვართა მრავალსიუჟეტური ნამუშევრებით გაფორმებული სხვადასხვა ფორმის დასაკეცი მარაოები იტალიელ მომხმარებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. ეს მარაოები იმდენად ძვირი ყოფილა, რომ მანტუანის ჰერცოგინია დროდადრო მილანის ბანკში ავირავებდა თურმე.

ამობენ, ინგლისში ჰენრი III-ის დროიდან მოყოლებული იშვიათად შეხვდებოდით ქალს ქუჩაში მარაოს გარეშეო. XVI საუკუნეში მარაოს მოხმარების შემსწავლელი აკადემიაც კი დაუარსებიათ. ინგლისის დედოფალ ელიზაბეტას(1558-1603) მიერ შემოღებული წესის თანახმად, ქვეშევრდომებს დედოფლი-

სთვის ერთადერთი საჩუქრის – მარაოს მირთმევა შეეძლოთ. ადვილი წარმოსადგენია, რა რაოდენობის მარაოებს იტევდა დედოფლის კოლექცია.

XVII საუკუნის დასაწყისში მარაოს საამქროს ოსტატები პარლამენტისგან მოითხოვდნენ ჩინური და იაპონური მარაოების შემოტანის აკრძალვას ადგილობრივი წარმოების აღმავლობის მიზნით.

XVI საუკუნეში ესპანეთში ამზადებდნენ სპილოს ძვლის ან ლითონისტარიან, დროშის ფორმის მავთულის ან ხის ჩონჩხზე ფერად ქსოვილგადაჭიმულ ქალაღდის ან მაქმანის მარაოებს – ვენტაროლას, რომელიც მოხატული იყო ნაირფერი ყვავილებითა და ესპანეთის ხედებით. ესპანეთში მარაო მიიჩნეოდა ცეკვისას აუცილებელ ელემენტად.

რუსეთში პეტრე I-ის რეფორმებამდე თითქმის არ იცნობდნენ მარაოს. ამის შემდეგ, ცხოვრების წესის შეცვლამ, მასობრივმა ევროპეიზაციამ, უცხოური სამოსის შემოღებამ საგრძნობლად შეცვალა დამოკიდებულება მარაოსადმი.

XVII–XVIII საუკუნეებში ევროპის ქვეყნებიდან შემოტანილ ფუფუნების საგნებიდან დასაკეცმა მარაომ მიიქცია რუსეთის მაღალი წრის ქალთა ყურადღება. მარაოს ძირითადი მომხმარებელი სამეფო და საიმპერატორო ოჯახის წევრები იყვნენ. ბიზანტიის პატრიარქს პეტრე I-ის დედის-ნატალია კირილოვნასთვის არაერთხელ მიუერთმევია ძვირფასი მარაო. შესანიშნავ აქსესუარზე გაზრდილ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა მხოლოდ იმპორტი. დღის წესრიგში დადგა რუსეთში მარაოს წარმოების განვითარების საკითხი. ელიზავეტა პეტროვნას მეფობის დროს დაფუძნდა მარაოს მწარმოებელი პირველი საწარმო, რომლის აღმავლობა უკავშირდება მეჯლისებისა და მასობრივი გართობების მოყვარულ ნიკოლოზ II-ის მეუღლის, ალექსანდრა ფიოდოროვნას სახელს, რომელიც დახვეწილი გემოვნებით ირჩევდა კოსტიუმებსა და შესაფერის აქსესუარებს. მისთვის მარაოებს ინერდნენ პარიზიდან. მარაოზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაი-

ზარდა ეკატერინე II-ის დროს. მარაოს დიდი თაყვანისმცემელი იყო ალექსანდრე III-ის მეუღლე მარია ფიოდოროვნა. საქორნილო, საბალეტო, სადღესასწაულო ან ღირსშესანიშნავი მოვლენებისადმი მიძღვნილ მარაოებზე გაჩნდა ინიციალები, მფლობელის გერბი. პოპულარული გახდა იმპერატორის პორტრეტიანი და სამახსოვრო ნარწერიანი მარაოები. ფერმწერების, გრავიორების, იუველიერების, მეჩუქურთმეების, ხეზე და ძვალზე მომუშავე რუს ოსტატთა ძალისხმევით შექმნილი დახვეწილი სტილით, ჰარმონიულობით, მხატვრული ღირებულებებითა და გემოვნებით გამორჩეული მარაო არ ჩამოუვარდებოდა და ზოგჯერ კონკურენციასაც უწევდა დასავლეთ ევროპულ ნაწარმს, რომელთა უმრავლესობა დიპლომატიურ საჩუქრებთან და სხვა იშვიათ ნივთებთან ერთად ინახებოდა სამეფო ხაზინაში.

დასავლეთევროპული მარაოების გამოყენების არეალი მრავალმხრივი იყო. პირველ რიგში იგი მიიჩნეოდა გამაგრილებელ საშუალებად, ნაციონალური ტანსაცმლისა და ყოფის მთავარ ატრიბუტად. მარაოს ისტორიის სარკესაც უწოდებდნენ, რომელიც ასახავდა თანადროულ ისტორიულ ცხოვრებას, გადმოსცემდა ეპოქის ხასიათსა და სტილს, გალანტურობას, ზოგჯერ სიმკაცრეს, სევდას, სიყვარულს.

XVI საუკუნეში პირველად ესპანეთში ჩამოყალიბებულმა ფლირტის (ტრფიალი, არშიყობა) ხელოვნებამ საფუძველი მოუმაზადა მარაოს ენის შემოღებას. იგი გახდა წყვილთა შორის ურთიერთობის საშუალება, ცდუნების იარაღი, რომლის ფრთების მიღმა იდუმალი გამოხედვა იმალებოდა. ყველა ასაკის შეყვარებულ ქალს მარაოს მოძრაობით, ანუ მარაოს ენით უსიტყვოდ შეეძლო სიყვარულის ახსნა, თანხმობის, გრძნობის, სურვილის, განზრახვის გამოხატვა. შეეძლო დაენიშნა შეხვედრის დრო კავალრისთვის. გაშლილი მარაოს შეხება მარჯვენა ხელის გულზე ნიშნავდა—მე თქვენ მიყვარხართ; ტუჩთან და გულთან მიტანა—შენ ჩემი იდეალი ხარ; დაკეცილი მარაოს შეხე-

ბა მარჯვენა მხართან–სიძულვილს; მარჯვენა ხელით მარაოს მიტანა მარცხენა ლოყაზე–უადგილო არშიყს და სხვ. მარაოს მეშვეობით გრძელდებოდა ხანგრძლივი საუბრები. კეკლუცი დიდგვაროვანი ქალები და ქალიშვილები საგულდაგულოდ და გულისყურით ათვალიერებდნენ სასურველ მამაკაცს ოსტატის მიერ მარაოს შუაში ჩასმული მცირე ზომის სარკის ან საგანგებოდ დატანებული ნაჩვრეტის საშუალებით.

XVIII საუკუნეში ფლირტის ხელოვნებამ სრულყოფილი და დახვეწილი სახე საფრანგეთში მიიღო. იგი მოითხოვდა მარაოს მოხმარების უნარს, სათანადო ცოდნას, გამოცდილებას, სწრაფი მანიპულაციის ნიჭს. XIX საუკუნიდან მარაომ ეს ფუნქცია თანდათან დაკარგა.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, არსებობდა მარაო–პროგრამა, რომელსაც არიგებდნენ თეატრში შესვლის წინ; ასევე არსებობდა მარაო–მენიუ, მარაო–მოსაწვევი ბარათი. ეს აქსესუარი მიიჩნეოდა ყველაზე ღირსეულ საჩუქრად, რომელსაც უკავშირებდნენ კეთილდღეობასა და ჰარმონიას. მანდილოსნები მარაოს გარეშე ისევე მოუხერხებლად გრძნობდნენ თავს, როგორც კავალერი უდაშნოდ.

დროთა განმავლობაში მოდასთან, მარაოს ფორმასთან, მასალასა და მოხატულობასთან ერთად იცვლებოდა მისი ზომაც. XVII–XVIII საუკუნეებში მარაოს სიგრძე 25–28 სანტიმეტრს შეადგენდა. საფრანგეთის რევოლუციის დროს შეიცვალა არისტოკრატთა ცხოვრების წესი, გამარტივდა სამოსი და იგი განიტვირთა ზედმეტი აქსესუარებისგან, მოხდა ერთგვარი დემოკრატიზაცია–მოდაში შემოვიდა შედარებით იაფი მასალისგან დამზადებული მცირე ზომის აქსესუარები, მათ შორის ჩანთები, რომლებშიც ეტეოდა მხოლოდ აუცილებელი ნივთები. შესაბამისად, დაპატარავდა მარაოც. მისი ზომა ახალა უკვე 15–20 სანტიმეტრამდე შემცირდა, უცვლელი იყო ფირფიტების რაოდენობა. ჩინური მარაოსთვის იგი იყო ლუწი, იაპონური– სთვის– კენტი.

XX საუკუნეში მაღალი ტექნოლოგიური სიახლეებისა და ელექტრონული გამაგრებელი საშუალებების ფართოდ დანერგვის გამო ქალის ტუალეტის ერთ-ერთმა ატრიბუტმა თანდათან დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქციური მნიშვნელობა და მარაომ, როგორც ხელოვნების ნიმუშმა გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა სამუზეუმო კოლექციათა შორის.

XIX საუკუნეში საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულმა ურთიერთობებმა ევროპასთან ქართველ არისტოკრატ ქალთა ყოფაში დაამკვიდრა მათთვის არატრადიციული ევროპული კოსტიუმი და ცხადია, მარაოც.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციაში წარმოდგენილი მემორიალური მარაოებიდან ზოგიერთის მფლობელის ვინაობაცაა ცნობილი. მათ შორისაა ეკატერინე ჭავჭავაძისა და სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის ასული სალომე (1848-1913), რომელიც 1868 წელს გათხოვდა აშილ ნაპოლეონ მიურატზე (1847-1895). სასახლის ეკლესიაში გამართულ ჯვრისწერას დაესწრო იმპერატორი ნაპოლეონ III და დედოფალი ევგენია დე მონტიხო. აშილ მიურატი ნაპოლეონ III-ის იმპერიის დაცემიდან რამდენიმე წლის შემდეგ, XIX საუკუნის ბოლოს, ოჯახთან ერთად ჩამოვიდა ზუგდიდში, დასახლდა ჭკადუაშში და იქვე დაკრძალეს 1895 წელს. სამეგრელოს მთავრის ასულის ნაქონ აბრეშუმის ქსოვილის მარაოზე (საინვ. № 13-1956/10) გამოსახულია ყვავილ-ფოთლოვანი მოტივი და ოქროსფერი ქართული მონოგრამა – სალომე. ცხადია, სოციალური წარმომავლობა და ევროპულ გარემოში აღზრდა სალომე დადიანს საშუალებას მისცემდა შეეკვეთა მონოგრამიანი და სამთავროს გერბის გამოსახულებიანი სახელობითი ნივთი. იმ დროს სხვადასხვა სახისა და დანიშნულების სახელობით ნივთებს მრავლად ამზადებდნენ ევროპაში, რუსეთსა და საქართველოშიც.

მუზეუმის ფონდებში დაცული ერთ-ერთი მარაოს (საინვ. № 43-1957/1) მფლობელი იყო ქართული არისტოკრატის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი, მეფე ერეკლე II-ისა და დარე-

ჯან დედოფლის უმცროსი ქალიშვილის, თეკლა ბატონიშვილის შვილიშვილი, პოეტ ვახტანგ ორბელიანის ასული მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი (1852-1941). იგი წლების განმავლობაში იყო თბილისის ვაჟთა პირველი სათავადაზნაურო დაწყებითი სკოლის გამგე, ამავე სკოლის ქალთა განყოფილების თავმჯდომარე. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ დედათა სკოლისა და თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. 1917-1918 წლებში იყო ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წევრი და ივანე ჯავახიშვილის ერთგული თანამდგომი. მართალია, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ნაქონი შავი აბრეშუმის მაქმანის ეს მარაო არ გამოირჩევა მხატვრული ღირებულებით, მაგრამ იგი ცნობილი მფლობელის მემორიალური ნივთია და ამიტომ ისტორიულად ფასეული. რაც შეეხება მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ნაქონ მეორე მარაოს (საინვ. № 74-1964/2), მასზე ფრანგი მხატვრის ანტუან ვატოს სურათის ასლია აღბეჭდილი, სადაფის ფირფიტები კი ოქროთია ინკრუსტირებული, რის გამოც ის ჩვენი კოლექციის ერთ-ერთი საყურადღებო ექსპონატია.

ქართველი რეჟისორისა და საქართველოს სახალხო არტისტის მიხეილ თუმანიშვილის ოჯახიდან შემოტანილ ნივთებს შორის ყურადღებას იქცევს მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული გიპიურის მარაო, რომელიც ვორონცოვ-დაშკოვის მეუღლის კუთვნილება ყოფილა (საინვ. № შ-4729).

ცნობილი ქორეოგრაფისა და საქართველოს დამსახურებული არტისტის იური ზარეცკის მიერ თბილისის ისტორიის მუზეუმისთვის (ქარვასლა) გადმოცემულ მემორიალურ ნივთებს შორის საინტერესოა ევროპული წარმოების ქსოვილის მარაო (საინვ. № შ-4450).

ზამთრის სასახლის, პეტროგრადის რაიონის ყველა სასახლის, მუზეუმებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის მთავარი კომენდანტი ივანე რატიშვილის(რატიევი) ოჯახიდან შემოსულია მარაო, რომელიც ვფიქრობთ, უნდა ყოფილიყო მისი მეუღლის-მეფე ერეკლე II-ის შვილთაშვილის ეკატერინე ირაკლის ასული

ბაგრატიონ-გრუზინსკაიას (1872-1917) ნაქონი (საინვ. № სხმ/ევრ-602).

კოლექციის უმრავლესი, არასახელობითი მარაოების ძვირად ღირებული მასალა, შესრულების ტექნიკა, მაღალი მხატვრული დონე უდავო დასტურია იმისა, რომ ისინიც არისტოკრატებს ეკუთვნოდა.

აბრეშუმის ქსოვილის ერთ-ერთ მარაოს (საინვ. № 65-1978/1) კი ამ ტრადიციული მასალისგან დამზადებულ მარაოთაგან გამომარჩევს ის, რომ მის სპილოს ძვლის ფირფიტებზე ფილიგრანულად გრავირებული ორნამენტებია.

სერიული წარმოების მარაოების ფორმიდან და მოხატულობიდან გამომდინარე, ოსტატის მიერ წინასწარ განისაზღვრებოდა მათი მომავალი მფლობელი. ვფიქრობთ, ასეთია კოლექციის მოწნული, წითელი ვარდით შემკული ქალიშვილებისთვის განკუთვნილი მარაო (საინვ. № 216-1916/51).

კოლექციაში მრავლადაა სირაქლემის ფრთისა და ფრინველის ბუმბულისგან დამზადებული მარაოები (საინვ. № შ-1629, შ-2367, შ-3744, შ-4711, შ-5458, გ-287(54-1939/287), რომლებიც გავრცელებული იყო XIX საუკუნის ევროპასა და რუსეთში.

მუზეუმის მარაოთა კოლექციაში მისი სიმცირის მოუხედავად, წარმოდგენილია მსოფლიოში გავრცელებულ მარაოთა თითქმის ყველა სახეობა. აქ არის სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა მასალისა (აბრეშუმი, სადაფი, ქილი, მაქმანი, ქალაღი, სპილოს ძვალი, ოქრო, ფრთა) და მოხატულობის მარაოები, რაც თვალნათლივ წარმოაჩენს მათ მფლობელთა—მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა გემოვნებასა და ცხოვრების წესს.





The Georgian National Museum keeps important historical and artistic collections of high value. Items of decorative-applied art such as fans are among varied samples. In all epochs fans were one of the most beloved, pleasant and available accessories of women of any social origin. Fans correspondingly reflected historical situation.

The word originated from the Latin word "ventus", "vanus" which denoted a face, neck, cooling of a neck. Fans have different names in different countries: in Russia – "веер" – "велять", "велялка" – to blow, "опахало" – a big fan made of birds feathers and wings which was wide and folded. In Germany a fan is called "der Facher", in France – "l'éventail", in Spain – "abanico", in England – "a fan", in Italy – "ventaglio", etc.

In the countries of ancient civilization fans were inculcated in the mode of life and their development depended on natural conditions. In order to have a complete idea about the development of fans right from the start till present days and to show the general process of their evolution, we shall travel in the remote past. Scientists who work on questions concerning the history of fans, confirm that the idea of fans creation was fecundated in ancient times in Eastern countries with hot climate. Inhabitants of those countries were the first people who used tree branches, large leaves of a palm tree and lotus, bunches of bird feather for protecting faces from the sun, repelling uneasy insects, making artificial breeze and for blowing.

History left us interesting information concerning spreading in ancient countries, shapes and forms of fans and their symbolic purpose.

Brilliant pieces of art were found in the tomb of Egyptian pharaoh Tutankhamen (1400-1392 BC). Among them was a semicircular fan with a

preserved ostrich wing. In Old Egypt fans were considered to be attributes of pharaohs' greatness. They were signs of honor, happiness, power and were symbols of the paradise. Fans were admirable objects. The last Egyptian queen Cleopatra (69-30 BC) cooled herself with a fan at the banks of the Nile river.

Old Greeks also liked fans. They made them from tree branches, plane and lotus leaves and also used weaving fans. Such fans are often depicted on paintings of antique vases. They help us in talking over about various forms of fans which were used by aristocracy alongside with mirrors and umbrellas. According to Greek mythology, fans were in use even by goddesses who lived on the Mount Olympus. A fan is among Aphrodite's (goddess of love and beauty) accessories. In the 5th c. AD Greek women preferred "rhipidiums" from an ostrich wing.

"Flabellum" was a fan with a long handle. It was spread in Italy and its origin comes from the Etruscans (the oldest population of Italy). "Flabellum" was decorated with big sized leaves and an ostrich wings which were fixed to a wooden and bone base. Young slaves – "flabellifers" winnowed their masters during day and at night. They were mastered specially to use fans gracefully and adroitly. "Tabelae" were little sized fans that were made of wood and ivory. They were mostly popular among Roman youngsters.

In spite of researches that were carried out in different countries, there are quite different points of view concerning the exact date of fan emerge. But there is not any doubt about the place of its origin – China. According to old Chinese legend, the first fan was created by wind god. It was later presented to the people who were in danger. Thus, the god wished to express his sympathy, tender-heartedness and to make people's condition easier. By means of a magic fan people could send for a goddess asking her for help.

Analysis of long-handled fans which were depicted on the oldest wing, bronze output and on the monuments of applied art, that were found in wealthy people's graves, gives supposition that a fan came into being in

China in the 8th – 2nd cc BC during the rule of Zhou and Zhan (770-221 BC). It was a big cooling made of a lotus leaf and a bird's wing which had a wooden handle.

Invention of paper in China in the 1st c. AD and its manufacture promoted creation of an early type of fan "utiva". It had a wooden handle and a round form paper. "Utiva" became a symbol of power, authority and a royal honor of its owner.

During Sui and Tang dynasties (581-618 AD, 618-907 AD) civil wars finished in China and flourishing of all spheres of cultural life started in the country. Paper, reed and lotus fans were substituted with wooden and bamboo ones. They had oval and round forms. Scenes from mode-of-life were depicted on paper and silk screen.

Folding fans were first made when painting, especially decorative applied art was raising in China during Sun and Juan dynasties (960-1279, 1279-1368). This art became more improved during Ming and Qing dynasties (1368-1644, 1644-1911). Owing to writers and painters Chinese folding fans became popular, perfected and refined at the Chinese imperial court.

Ivory, plates, animal horns, sandal-wood tree, bamboo were used for a fan's base. Fans were decorated with gold, nephrite, tortoise shell. Plates were beautified with nicely engraved ornaments of famous masters-engravers. Outstanding painters painted birds, rivers, flowers, animals, people's portraits, mythological scenes on paper and silk cloth. Beautiful accessories were hand-made. Similar samples never existed. Emperors presented fans to their admirers and honoured officials.

In the 18th c Chinese masters, in addition to local demands, made various fans specially for Western countries, taking into consideration European taste and character. Besides, a part of fans was intended for gifts. In the 7th c a Chinese fan was presented to the Japanese emperor. One of the emperors of the Qing dynasty presented the English royal court with 240 uncommon fans, which were richly decorated with jewelry. In 1804 a

Chinese ambassador made a present to Napoleon – a precious fan – when he was consecrated as an Emperor.

As it is seen, a fan had a century-old way of its development and it got a brilliant recognition. Owing to an artistic skill, talent and ability, which were used in their creation, a fan became a genuine and expensive cooling accessory; a symbol of power, authority, ability and kingly dignity. In this element of a woman's toilet-set are linked affected beauty, form, color, an original style of ornamentation, that were changing according to economic systems, ways of life, change of fashion and an introduction of new elements in the mode of life.

Population of China and Japan are proud till the present of having a fan culture. In China a holiday of fans takes place annually at the end of November. Friends and near relations present each other fans as a token of kindness and happiness.

Japan is known by old traditions of fan production. This beautiful accessory, which was recognized as a thing of luxury, was always considered to be one of the important achievements of Japan, an indivisible and necessary element of a traditional costume.

